<u>დანართი №1</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომ ტექსტში - ,,უნივერსიტეტი“) ყოველწლიური სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასება ხორციელდება სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ანალიზის საფუძველზე.

2. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შესახებ დასკვნას ადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთაგან მიღებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ანალიზის ურთიერთშეჯერების გზით.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამ წესით დადგენილ ვადებში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დახმარებით ახორციელებს ამ წესით გათვალისწინებული სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასებას. ზემოაღნიშნული მიზნით შეფასების პროცედურული მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მონაწილეობით.

4. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ფაკულტეტების/ინსტიტუტების შესაბამისი სტრუქტურების დახმარებით ახორციელებენ უნივერსიტეტის სასწავლო და **სამეცნიერო-კვლევითი** საქმიანობის ანალიზს ამ წესის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურით. ფაკულტეტებიდან/ინსტიტუტებიდან ინფორმაციის წარმოდგენა ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტში ფაკულტეტების/ინსტიტუტების შესაბამისი სტრუქტურები უზრუნველყოფენ **სასწავლო კომპონენტის** შეფასებისათვის აუცილებელი (მოთხოვნილი) ინფორმაციის წარდგენას ორ ეტაპად:

ა.ა) პირველი სემესტრის მონაცემები - არა უგვიანეს 30 ოქტომბრისა;

ა.ბ) მეორე სემესტრის მონაცემები - არა უგვიანეს 15 აპრილისა;

ბ) სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში ფაკულტეტების/ინსტიტუტების შესაბამისი სტრუქტურები უზრუნველყოფენ **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის** შეფასებისათვის აუცილებელი (მოთხოვნილი) ინფორმაციის წარდგენას არა უგვიანეს 15 აპრილისა.

5. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე

მომზადებული ანალიზი, არა უგვიანეს 15 მაისისა, მიეწოდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების დასკვნის ფორმირების მიზნით.

6. ყოველწლიური სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების დასკვნა შესაბამისი რეკომენდაციებითა და უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის სრულყოფის წინადადებებით ყოველი მომდევნო წლის 10 ივნისამდე წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

7. წარდგენილი დასკვნის საფუძველზე აკადემიური საბჭო კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების დადეგმვასა და გატარებას.